სებასტიის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი: ჩვენ ვგმობთ უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიის სისტემატურ დევნას

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 12.12.2023. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ მორწმუნეებთან შეხვედრისას, რომელიც 2023 წლის 2 დეკემბერს უფლის საფლავის ტაძარში შედგა, სებასტიის მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ (იერუსალიმის საპატრიარქო) განაცხადა: „ჩვენ ვლოცულობთ მშვიდობისათვის წმინდა მიწაზე და ღაზას სექტორში ომის დასრულებისთვის. ეს არის ომი, რომლის ფასს იხდიან უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქეები, ბავშვები. მაგრამ როდესაც წმინდა მიწაზე ჩვენი ხალხის ტანჯვასა და აქ მიმდინარე მოვლენებზე ვსაუბრობთ, ჩვენ ასევე გვახსოვს რა ხდება უკრაინაში, სადაც უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას დევნის დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი კიევის რეჟიმი. დასავლეთის მიერ უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ წაქეზებული დევნა მიუღებელია და მისი გამართლება შეუძლებელია, რადგან ეს არის ადამიანის უფლებების დარღვევა და თავდასხმა უძველეს ეკლესიაზე, რომელიც უკრაინაში არსებობს მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა დამკვიდრდა ამ მიწაზე“.

პოლიტიკურ ხელისუფლებას არ აქვს უფლება ჩაერიოს საეკლესიო საქმეებში და თავს მოახვიოს მისთვის მიუღებელი დღის წესრიგი, – აღნიშნა მეუფე თეოდოსიმ, რასაც იერუსალიმში რუსეთის სულიერი მისიის ვებსაიტი **ციტირებს.**

„ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას მიტროპოლიტ ონოფრეს და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ეპისკოპოსს, რომლებიც ექვემდებარებიან სასტიკ დევნას იმ დროს, როდესაც ადამიანის უფლებებზე მზრუნავი დასავლური სამყარო, რომელმაც იცის და ხედავს ყოველივე ამას, არანაირ რეაგირებას არ ახდენს – ხაზი გაუსვა იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქმა. – დასავლური პოლიტიკური ხელისუფლებები და მათი წარმომადგენლები უკრაინაში ცდილობენ შექმნან კანონიკური ეკლესიის ალტერნატიული სტრუქტურა, მაგრამ ჩვენ არ ვაღიარებთ უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ თავსმოხვეული სტრუქტურის კანონიკურობას, როგორც მიტროპოლიტ ონოფრეს მეთაურობის ქვეშ მყოფი ლეგიტიმური ეკლესიის ალტერნატივას”.

მან ლოცვებში შეავედრა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია და აღნიშნა: „ამ რთულ დროს, როდესაც რამდენიმე ეპისკოპოსს აპატიმრებენ და აწამებენ, როდესაც ტაძრების უკანონო მიტაცება ხდება, ჩვენ კატეგორიულად ვგმობთ ყველაფერ ამას“.

„ჩვენ გვჯერა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია დაამარცხებს თავის მტრებს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ეკლესიას დევნიან: მისი ისტორია სავსეა სასტიკი დევნებით, მაგრამ საბოლოოდ ის იმარჯვებს, რადგან უფალი იესო ქრისტე მფარველობს მას და იცავს ყოველგვარი ბოროტებისგან, ხილული და უხილავი მტრებისგან“, - განაცხადა სებასტიის მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91122/